**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030180342198320

**№ 01-202/ო** **18 / მაისი / 2020 წ.**

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების თაობაზე**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა თანდართული დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე

„დანართი“

**ადმინისტრაციის, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ვაკანტური თანამდებობის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა**

1. ადმინისტრაციის, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) **განათლება** - იურიდიული, მაგისტრი;

ბ) **სამუშაო გამოცდილება** - იურიდიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, მათ შორის საჯარო სამსახურში მაკონტროლებელ ან ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოში სასამართლოებთან ურთიერთობის არანაკლებ - 1 წლის გამოცდილება;

გ) **კომპიუტერული პროგრამების** - (MS office Word, Excel, Power Point და Outlook) კარგ დონეზე ცოდნა.

2. ადმინისტრაციის, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
გ) საქართველოს შრომის კოდექსი;
დ) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ე) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ვ) „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ზ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
თ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ი) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილება.